საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF SOCIAL AND POLITICAL SCIENCES

№ 15/30-09 „3" XI 20 წ

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

დეკანის ბრძანება N 15/2017

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სტიპენდიისთვის კანდიდატის შერჩევის შესახებ

საქართველოს პრეზიდენტსა და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის 2014 წლის 22 მაისს გაფორმებული ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი ნაწილის, 54–ე მუხლის პირველი ნაწილის, 57-ე მუხლის, 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუქტის „ა", „ო" და „პ" ქვეპუნქტებისა და მე-9 პუნქტის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2016 წლის 26 დეკემბრის N46176/02 კორესპონდენციის საფუძველზე, რექტორის 2017 წლის 14 თებერვლის N20/01-01 ბრძანების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს კონკურსი „საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთათვის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სტიპენდიის მოსაპოვებლად;

ილია ჭავჭავაძის გამზ. 8, 0179 თბილისი, საქართველო
8, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.social.tsu.ge
ტელეფონი: +(995 32) 229 05 94 Tel.
ფაქსი: +(995 32) 229 05 94 Fax.
ელ-ფოსტა: social@tsu.ge; E-mail

2. კონკურსი ჩატარდეს რექტორის 2017 წლის 14 თებერვლის N20/01-01 ბრძანების საფუძველზე;
3. შეიქმნას საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
    - რევაზ ჯორბენაძე - პროფესორი, კომისიის თავმჯდომარე;
    - ზურაბ დავითაშვილი - პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
    - ფიქრია ასანიშვილი - ასოცირებული პროფესორი, კომისიის მდივანი;
    - თამარ ქარსაულიძე - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
    - მარიამ მსხალაია - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.
4. საბუთების მიღება 6 ნოემბრიდან 10 ნოემბრის ჩათვლით, 10.00 – 17.00 სთ, #201, მე-4 კორპუსი;
5. კონკურსის შედეგები გამოქვეყნდეს არაუგვიანეს 17 ნოემბრისა;
6. ინფორმაცია გამოვლენილი სტიპენდიანტის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას გაეგზავნოს არაუგვიანეს 22 ნოემბრისა;
7. ფაკულტეტის კანცელარიამ უზრუნველყოს დაინტერესებულ პირთათვის ბრძანების გაცნობა და თვალსაჩინო ადგილზე განთავსება;
8. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი თ. დოლბაია

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სულხან - საბა ორბელიანის სახელობის სტიპენდიის დანიშვნის, სტიპენდიანტის გამოვლენისა და სტიპენდიის მინიჭების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ტექსტში შემდგომ - ,,უნივერსიტეტი“ ან ,,დაწესებულება“) სულხან - საბა ორბელიანის სახელობის სტიპენდია (შემდგომში - ,,სტიპენდია“) ინიშნება საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით და საქართველოს პრეზიდენტსა და უნივერსიტეტს შორის 2014 წლის 22 მაისს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით დასახული ამოცანების ფარგლებში.

2. სტიპენდიის დაწესების მიზანია უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო მიმართულების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა (შემდგომ ტექსტში – ,, სტუდენტი“) წახალისება.

3. სტიპენდია ენიჭება უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო მიმართულების ბაკალავრიატის ერთ სტუდენტს ყოველსემესტრულად, 5 თვის ვადით.

მუხლი 2. სტიპენდიის მინიჭების პირობები

1. სტიპენდია გაიცემა (ინიშნება) დასაფინანსებელი სემესტრის წინა სემესტრის შედეგების საფუძველზე, შერჩევის პრინციპით.

2. სტიპენდია არ გაიცემა:

ა) ბაკალავრიატის პირველი სასწავლო წლის სტუდენტზე;

ბ) სტუდენტზე, რომელსაც უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე გავლილი აქვს ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პერიოდზე მეტი;

გ) დასაფინანსებელი სემესტრის წინა არაუმეტეს ორ სემესტრში მობილობით გადმოსულ სტუდენტზე;

დ) დასაფინანსებელი სემესტრის წინა არაუმეტეს ორ სემესტრში სტატუსშეჩერებულ სტუდენტზე;

ე) სტიპენდიის დანიშვნის მომენტისთვის სხვა სტიპენდიის/საუნივერსიტეტო დაფინანსების მქონე სტუდენტზე;

ვ) სტიპენდიის მიღების სასწავლო წელს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის/შეჩერების შემთხვევაში.

მუხლი 3. სტიპენდიანტის შერჩევის წესი

1. სტიპენდიით დაფინანსებისათვის კანდიდატის შერჩევას ახორციელებს სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისია (შემდგომ ტექსტში - ,,კომისია“).

2. კომისია იქმნება დეკანის ბრძანებით, არანაკლებ 5 წევრის შემადგენლობით, შესაბამისი სასწავლო-სამეცნიერო მიმართულების სპეციალისტებისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებისგან.

3. სტიპენდიით დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევა განხორციელდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრებისა (თითოეულ საგანში არანაკლებ 81 ქულისა) და წინა სემესტრში შესრულებული მინიმუმ 30 კრედიტის საფუძველზე 100 ქულიანი სისტემით:

ა) აკადემიური მოსწრება - შეფასდება 80 ქულით, რომელიც გამოითვლება სტუდენტის მიერ უნივერსიტეტში, წინა სემესტრში სასწავლო კურსებში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით, რომელიც გამრავლდება 80–ზე და გაიყოფა 100–ზე.

ბ) სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება - შეფასდება არაუმეტეს 10 ქულით (შეფასებას ექვემდებარება დასაფინანსებელი სემესტრის წინა სემესტრში გამოქვეყნებული ნაშრომები):

ბ.ა) თითო პუბლიკაცია არაუმეტეს 2 ქულა - პუბლიკაციები ქართულ ან უცხოურ, ბეჭდურ ან ელექტრონულ სამეცნიერო გამოცემებში;

ბ.ბ) თითო პუბლიკაცია არაუმეტეს 3 ქულა - პუბლიკაციები ქართულ ან უცხოურ ბეჭდურ, ან ელექტრონულ რეცენზირებად/რეფერირებად პერიოდულ სამეცნიერო გამოცემებში.

გ) სამეცნიერო სტუდენტურ კონფერენციებში მონაწილეობა - შეფასდება არაუმეტეს 10 ქულით (ჩაითვლება წინა სემესტრში ჩატარებული კონფერენციები):

გ.ა) თითო კონფერენცია არაუმეტეს 1 ქულა - საქართველოში შესაბამისი ფორმალური მხარდაჭერით ორგანიზებულ სტუდენტურ საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა;

გ.ბ) თითო კონფერენცია არაუმეტეს 2 ქულა - თსუ-ს საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა;

გ.გ) თითო კონფერენცია არაუმეტეს 3 ქულა – საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა და თსუ–ს საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო კონფერენციებში გამარჯვება.

4. კომისია იხელმძღვანელებს სტუდენტის მიერ მოწოდებული დოკუმენტებით. ბეჭდური გამოცემის შემთხვევაში, სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს პუბლიკაციის ასლი, თავფურცლისა და სარჩევის დართვით; კონფერენციაში მონაწილეობის შემთხვევაში – კონფერენციის პროგრამა და მონაწილის სერტიფიკატი.

5. თუ სტიპენდიის კანდიდატებმა დააგროვეს თანაბარი ქულები, უპირატესობა მიენიჭება მაღალი GPA –ს (სემესტრული) მქონე სტუდენტს.

მუხლი 4. ინფორმაცია სტიპენდიის მინიჭების შესახებ

1. ინფორმაცია გამოვლენილი სტიპენდიანტების შესახებ ეგზავნება საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას.

2. გამოვლენილი სტიპენდიანტების შესახებ ინფორმაციის მიღების შემდგომ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან 1 სემესტრის სტიპენდიისათვის განკუთვნილი თანხა სრულად ერიცხება უნივერსიტეტს, რათა უზრუნველყოფილი იქნას სტიპენდიანტებისათვის შესაბამისი ოდენობის სტიპენდიის ყოველთვიური ჩარიცხვა.

3. სტიპენდია გაიცემა ყოველსემესტრულად, თვეში 160 ლარის ოდენობით.